



ქაონოშიქური თაორიის თანაქადროვე პროგლავები



სუპერანული საინფესტიციო ფონდები მსოფლიო საფინანსო-პოლიტიქური ბატონობის ახალი ინსტრუმენტი

ზურაბ გაშაკიძე

ემდ,სტუ ასოცირებული პროფესორი

რევაზ შენგელია

ემდ,სტუ ასოცირებული პროფესორი

საფინანსო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია არასაბიუჯეტო სპეციალური ფონდები.

არაარასაბიუჯეტო სპეციალური ფონდები მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ, ეროვნული შემოსავლის (ან მშპ) გადანაწილების ერთ-ერთი მეთოდია. ამ ფონდების მეშვეობით წყდება ორი ძირითადი ამოცანა:

1. ეკონომიქის პრიორიტეტული სფეროების დამატებითი სახსრებით უზრუნველყოფა;

2. მოსახლეობის სოციალური მომსახურების სფეროს გაფართოების ფინანსური უზრუნველყოფა.

თავდაპირველად არასაბიუჯეტო ფონდები წარმოიქმნა სპეციალური ფონდების სახით გაცილებით ადრე, ვიდრე სახელმწიფოს ცენტრალური ფულადი ფონდი ბიუჯეტის სახით ჩამოყალიბდებოდა.

თანამედროვე პირობებში ბიუჯეტთან ერთად კვლავ დიდია არასაბიუჯეტო ფონდების მნიშვნელობა, რომელთაც გააჩნიათ შემდეგი თავისებურებები და უპირატესობანი:

1. სახელმწიფოს უზრუნველყოფა დამატებითი სახსრებით სამეურნეო საქმიანობაში ჩარევისათვის და წარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის;

2. არასაბიუჯეტო ფონდების მქაცრი მიზნობრივი ხასიათი მათ გამოყენებაზე ეფექტიან კონტროლს უზრუნველყოფს;

3. შესაძლებელია ფონდების დადებითი სალდოს არსებობის პირობებში ნამეტი სახსრების გამოყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

არასაბიუჯეტო ფონდები იქმნება ორი გზით: პირველი - ფონდები ფორმირდება შემოსავლების საკუთარი წყაროებით. მეორე - ბიუჯეტიდან გამოყოფა ხარჯები. ზოგიერთ შემთხვევაში ორივე წყარო შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი ფონდის შემოსავლების ფორმირების მიზნით. გარდა ამისა, განსაკუთრებული შემთხვევების დაფინანსებისათვის შეიძლება შეიქმნას არასაბიუჯეტო ფონდები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას. ასეთი არასაბიუჯეტო ფონდები (ძირითადად ეკონომიკური ხასიათის) იქმნება ზოგიერთ ისეთ ქვეყანაში, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიული ამოცანები.

არასაბიუჯეტო ფონდები მიზნობრივი დანიშნულებისაა. როგორც წესი, მის სახელწოდებაში მითითებულია სახსრების გამოყენების მიზანი, ანუ ფონდის დანიშნულება. არასაბიუჯეტო ფონდების შემოსავლების მობილიზების წყაროა: 1. სპეციალური გადასახადები; 2. სპეციალური მოსაკრებლები; 3. სახსრები ბიუჯეტიდან; 4. სხვადასხვა სახის სესხები.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემაში არასაბიუჯეტო ფონდებს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ისინი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ დასახულ დიდი მნიშვნელობის ამოცანებს აფინანსებენ.

არასაბიუჯეტო ფონდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სამართლებრივი, ასევე გამოყენებითი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით ფონდები იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივ ფონდებად. გამოყენებითი თვალსაზრისით ბიუჯეტგარეშე ფონდები იყოფა შემდეგ სახეობად: 1. ეკონომიკური; 2. საკრედიტო; 3. სოციალური; 4. სამეცნიერო; 5. პირადი და ქონებრივი დაზღვევის; 6. სამხედრო-პოლიტიკური; 7. სახელმწიფოთაშორისო.

თანამდეროვე საერთაშორისო საფინანსო კრიზისი, რომელიც 2008 წლიდან გამწვავდა და დღეს-დღეობით გადადის სრულმასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში, პროვოცირებულია აშშ-ს იპოთეკური კრედიტების მოზღვავებით, რომელმაც გამოიწვია მათი ლიკვიდურობის მსხვილმასშტაბიანი დეფიციტი, არა მხოლოდ ამ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროზონის ქვეყნებში. ამ კრიზისის ფონზე ახალ, მნიშვნელოვან როლს იძენს არასაბიუჯეტო ფონდის ერთ-ერთი განსაკუთრებული ნაირსახეობა, სუვერენული საინვესტიციო ფონდების სახით (ამ საკითხების უფრო ფართო, თეორიული ასპექტი იხ. წიგნში „ფინანსების თეორია“)¹. ეს ფონდები კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ახორციელებენ მასშტაბურ ოპერაციებს სახელმწიფოს საბიუჯეტო სახსრებით და კონტროლდებიან ამ

1 მერაბ ვანიშვილი, მზევინარ ნოზაძე, ლაშა გოცირიძე. ფინანსების თეორია. თბილისი, 2010, გვ. 177-199.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

სახელმწიფოების მიერ.

დღევანდელი მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მსოფლიო ბიზნეს-საზოგადოება, საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, სხვადასხვა სახის ექსპერტები შეშფოთებით აკვირდებიან აღნიშნული ფონდების ეკონომიკურ-ფინანსურ საქმიანობას, რომლებსაც მეტწილად პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, განსაკუთრებით რუსეთი, ჩინეთი, ახალგაზრდა ვეფხეები (ძირითადად ინდოჩინეთი) ამ ფონდებს იყენებენ ეკონომიკურ-პოლიტიკური ექსპანსიისათვის შორს მიმავალი მიზნებით. თუმცა ეს ფონდები არ არის ახალი მოვლენა მსოფლიო ეკონომიკისათვის. პირველად ეს ორგანიზაციები გამოჩნდა XX საუკუნის 50-60 წლებში. ასე მაგალითად, კუვეიტის საინვესტიციო საზოგადოება 1953 წელს.

ტერმინი sovereign wealth fund პირველად 2005 წელს გამოიყენა ენდრიუ როზანოვმა სტატიაში „Who holds the wealth of nations?“ („ვის ეკუთვნის ერების სიმდიდრე?“) Central Banking Journal-ში. თავდაპირველ კერსიაში ტერმინი გამოიყენებოდა პროცესის აღწერისათვის რეზერვების ტრადიციული მართვიდან სუვერენული კეთილდღეობის მართვისაკენ, მხოლოდ შემდეგ დაიწყო მისი ფართოდ გამოყენება მსოფლიო ბიუროკრატის მსყიდველობითუნარიანობის აღსანიშნავად.

აქ გვინდა მოვიყვანოთ წამყვანი სუვერენული საინვესტიციო ფონდების სტატისტიკური მონაცემების (არასრული) ცხრილი ქვეყნების მიხედვით.¹

ქვეყანა	აბრევია ტურა	ფონდის დასახ.	აქტივები (აშშ მლრდ დოლარი)	დასაწყ.	ფორმირების წყარო
არაბთა გაერთ. ემირატები (აბუ-დაბი)	ADIA	Abu Dhabi Investment Authoriti	627	1976	ნავთობი
საუდის არაბეთი	SAMA	SAMA Foreign Holdongs	439,1	n/a	ნავთობი
ჩინეთი	SAFE	SAFE Investment Company	347,4	1997	არა წიაღისეული

1 ცხრილი შედგენილია გაზეთ „Коммерсант“, №165, 12.09.07წ. და <http://www.swinsitute.org/> მონაცემების მიხედვით.

ჩინეთი	CIC	China Investment Corporation	332,4	2007	არა წიაღისეული
ჩინეთი-ჰონკონგი	HKMA	Hong Kong Monetary Authority Investment Portfolio	292,3	1993	არა წიაღისეული
სინგაპური	GIC	Government of Singapore Investment Corporation	247,5	1981	არა წიაღისეული
კუვეიტი	KIA	Kuwait Investment Authority	208,8	1953	ნავთობი
სინგაპური	TH	Temasek Holdings	157	1974	არა წიაღისეული
ჩინეთი	NSSF	National Social Security Fund	146,5	2000	არა წიაღისეული
რუსეთი	RNWF	Фонд национального благосостояния	142,5	2008	ნავთობი
ამერიკის შეერთებული შტატები (ალიასკა)	APF	Alaska Permanent Fund	39,7	1976	ნავთობი
ყაზახეთი	KNF	Kazakhstan National Fund	38,6	2000	ნავთობი
სამხრეთ კორეა	KIC	Korea Investment Corporation	37	2005	არა წიაღისეული

პერნოციპური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ირლანდია	NPRF	National Pensions Reserve Fund	33	2001	არა წიაღისეული
ბორნეო	BIA	Brunei Investment Agensi	30	1983	ნავთობი
აზერბაიჯანი	SOFAZ	State Oil Fund of the Republic of Azerbaijan	25,8	1999	ნავთობი
ირანი	OSF	Oil Stabilisation Fund	23	1999	ნავთობი
არაბთა გაერთ. ემირატები (დუბაი)	ICD	Investment Corporation of Dubai	19,6	2006	ნავთობი
არაბთა გაერთ. ემირატები (აბუ-დაბი)	MDC	Mubadala Development Company	13,3	2002	ნავთობი
საუდის არაბეთი	PIF	Public Investment Fund	5,3	2008	ნავთობი
ჩინეთი	CADF	China-Africa Development Fund	5,0	2007	არა წიაღისეული
ვიეტნამი	SCIC	State Capital Investment Corporation	0,5	2006	არა წიაღისეული
არაბთა გაერთ. ემირატები (ფედერალ.)	EIA	Emirates Investment Authority	X	2007	ნავთობი

ომანი	OIF	Oman Investment Fund	X	2006	ნავთობი
არაბთა გაერთ. ემირატები (აბუ-დაბი)	ADIC	Abu Dhabi Investment Council	X	2007	ნავთობი

ამჟამად მსოფლიოში, ბოლო მონაცემებით, ინტერნეტ სივრცეში დაახლოებით 51 ფონდია. ზოგიერთ ქვეყანაში რამდენიმე ასეთი ფონდია, თუმცა ისინი განსხვავდებიან ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით, დაფინანსების წყაროებით და ეკონომიკურ-ფინანსური, პოლიტიკური ამოცანებით. ძირითადად ამ ფონდების შემოსავალი ეფუძნება ნავთობპროდუქტებიდან მიღებულ შემოსავალს. მხოლოდ აშშ-ს, ნორვეგიის, ირლანდიის, სინგაპურის, სამხრეთ კორეის და ჩინეთში არსებული ფონდების შემოსავალი არ არის დამყარებული ნედლეულის გაყიდვიდან მიღებულ მოგებაზე.

ბოლო პერიოდში წარმოქმნილი ყველაზე მსხვილი ფონდებია: საუდის არაბეთის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი (2008 წ. – 5,3 მლრდ აშშ დოლარი), ეროვნული კეთილდღეობის რუსეთის ფონდი (2008 წ. – 142,5 მლრდ აშშ დოლარი), ჩიეთის საინვესტიციო კორპორაცია (2007 წ. – 332,4 მლრდ აშშ დოლარი), ჩინეთ-აფრიკის ფონდი (2007წ. – 5,0 მლრდ აშშ დოლარი), კორეის საინვესტიციო კორპორაცია (2005 წ. – 37 მლრდ აშშ დოლარი).

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის და ჩინეთის გარდა არის კიდევ ერთი ყოფილი სოციალიტური ქვეყანა - ვიეტნამი, სადაც 2004 წელს შეიქმნა სახელმწიფო კაპიტალის საინვესტიციო კორპორაცია 0,5 მლრდ აშშ დოლარი საწესდებო კაპიტალით. აგრეთვე, მეტად საინტერესოა ორ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში, მსგავსი ფონდების შექმნა. კერძოდ, 1999 წელს აზერბაიჯანში შეიქმნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ფონდი, 25,8 მლრდ აშშ დოლარის კაპიტალით, ხოლო 2000 წელს ყაზახეთში შეიქმნა ყაზახეთის ნაციონალური ფონდი 38,6 მლრდ აშშ დოლარის კაპიტალით. ჩვენი სახელმწიფოსთვის ეს მეტად დამაფიქრებელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს ორი ქვეყანა ჩვენი ეკონომიკური პარტნიორია. განსაკუთრებით დამაფიქრებელია რუსული კაპიტალის შემოსვლა ზემოთ აღნიშნული ფონდების სხვადასხვა ქალიშვილი ფირმების მეშვეობით.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების შექმნის პროცესი გრძელდება.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

პროცესი განიხილება სამთავრობო დონეზე. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობა შეიმჩნევა საფინანსო-ეკონომიკური სისტემისათვის მნიშვნელოვან ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, ონდოეთი, ბრაზილია, სპარსეთის ყურის ქვეყნები და ინდონეზია.

ფონდებისადმი ინტერესის გაძლიერება აიხსნება იმითაც, რომ უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში სპარსეთის ყურის, ჩინეთის სინგაპურის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები სარგებლობდნენ მათთვის ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურით და ახორციელებდნენ მრავალმილიონიან გარიგებებს აშშ-სა და ევროპის წამყვანი კერძო საინვესტიციო და საბანკო ინსტიტუტების აქციათა პაკეტების შესაძენად. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები კი, არა მხოლოდ ამ ქვეყნების ეკონომიკის, არამედ მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის ხერხემალია.

მსგავსმა ფაქტებმა პირველად დასავლეთის კერძო საფინანსო ინსტიტუტები შეაშფოთა, რომლებმაც ფონდები მიიჩნიეს მძლავრ კონკურენტებად. შემდგომში ამ შემოფოთებამ გადაინაცვლა სამთავრობო დონეზე. ამის ნათელი მაგალითია აშშ-ში გამოცხადებული ტენდერი ატლანტიკის ოკეანის პორტების გაყიდვაზე. ამ ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა არაბული ქვეყნების სუვერენულმა საინვესტიციო ფონდებმა, რომელთაც გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდათ. აშშ-ს მთავრობამ შეაჩერა ტენდერი, რათა ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები ქვეყნისათვის პოლიტიკურად მიუღებელი პარტნიორის ხელში არ აღმოჩენილიყო. ეს მაგალითი დასაფიქრებელია საქართველოს საზღვაო პორტების მიმართ. განსაკუთრებით ფოთის პორტისა და ყულევის ტერმინალის მიმართ, ვინაიდან ორივე ობიექტი გადაცემული აქვს უცხოური წარმოშობის კაპიტალს.

განსაკუთრებული ინტერესი ფონდების ფენომენის შეწავლისადმი იწყება 2007 წლიდან, ამერიკული და გერმანული ბანკებისა და სხვა კერძო ორგანიზაციების მიერ. ფონდების საკითხი აქტუალური გახდა პოლიტიკურ დონეზეც. წამყვანი ქვეყნები შემოფოთებული იყვნენ იმ საფრთხეების გამო, რომლებიც მომავალში შეიძლება დამუქრებოდა მათ სუვერენიტეტს. ფონდების გარშემო ატეხილი საინფორმაციო აჟიოტაჟის შედეგად ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა დაიწყო მსოფლიოს წამყვანმა საფინანსო-ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციამ (OCDE).

OCDE-ის მონაცემებით ფონდების ოპერაციებზე უკვე არსებობს

შეზღუდვები. მაგალითად, ისლანდიაში აკრძალულია უცხოეთის სახელმწიფოებისა და სახელმწიფო კომპანიების ინვესტიციები. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მთავრობა გასცემს განსაკუთრებულ ნებართვას. მექსიკამ დააწესა შეზღუდვები პირდაპირ ინვესტიციებზე, რომელსაც უცხოეთის ქვეყნების მთავრობები ახორციელებენ. ასევე, უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფო საწარმოებზე, რომლებიც დაინტერესებული არიან ქვეყანაში ინვესტიციების განსახორციელებლად. ესპანეთი იტოვებს უფლებას შეზღუდოს იმ სახელმწიფოების სამთავრობო ინვესტიციები, რომლებიც არ შედიან ევროკავშირის შემადგენლობაში. მოხსენებაში აგრეთვე საზგასმულია, რომ მრავალი რეციპიენტი ქვეყანა აპირებს ზომების გამკაცრებას უცხოური ინვესტიციების რეგულირების მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2007 წლის ოქტომბერში თავის ყოველწლიურ მოხსენებას - „გლობალური ფინანსური სტაბილურობა“ - ცალკე დანართი გაუკეთა ფონდების შესახებ. 2008 წელს სავალუტო ფონდმა მოამზადა დოკუმენტი სათაურით „სუვერენული საინვესტიციო ფონდები. სამუშაო პროგრამა“. მასში ჩამოყალიბებულია ძირითადი თეორიული, სტატისტიკური და ფაქტობრივი ცნობები იმ მომენტისათვის მსოფლიოში არსებული ფონდების შესახებ. ანგარიშში წამოყენებული კონკრეტული წინადადებები, წევრ ქვეყნებისათვის საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ეს რეკომენდაციები, რომელიც სავალუტო ფონდმა და OCDE-მა გამოქვეყნა. ამ რეკომენდაციებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა უფრო ფრთხილად უნდა მიუდგეს იმ ინვესტიციებს, რომლებიც შემოდის რუსეთის, ყაზახეთის და არაბული ქვეყნების სახელმწიფო ფონდებიდან. მითუმეტეს, როდესაც ეს ფონდები ძირითადად დაინტერესებულნი არიან ქვეყნის სტრატეგიული ობიექტებით.

ფონდების ყველაზე გავრცელებული დეფინიციის თანახმად სუვერენული ფონდები საინვესტიციო ფონდია, რომელიც დიდწილად სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფება, ექვემდებარება მის კონტროლს და ახორციელებს ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

მეტად საყურადღებოა ფონდების ფუნქციონალური დახასიათება. ასეთი ფონდები იქმნება ქვეყნებში (რეგიონებში), რომლებიც განიცდიან საგადასახადო ბალანსის პერიოდულ თუ ქრონიკულ დეფიციტს და შესაბამისად, ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვების და სახელმწიფო ბიუჯეტის პრო-

პერონიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ფიციტს. შესაბამისად, ფონდები წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელიც მოწოდებულია შეამციროს საგარეო ანგარიშ-სწორების დისბალანსი, უზრუნველყოს სახსრების გრძელვადიანი შენახვა, რომელიც მიიღო სახელმწიფო (რეგიონალური) ბიუჯეტიდან.

თანამედროვე სუვერენული საინვესტიციო ფონდების საქმიანობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული აქტიურობა და მასშტაბურობა. სუვერენული საინვესტიციო ფონდების ინვესტორები, რომლებიც ფულს მნიშვნელოვანი მოგების მიზნით ტრადიციულად აბანდებდნენ პორტფელურ ინვესტიციებში, თანდათანობით გადაიქცნენ სტრატეგიულ ინვესტორებად და შეიძინეს შესყიდული აქტივების მართავეში მონაწილეობის უფლება.

გვინდა მოვიყვანოთ ერთი გახმაურებული მაგალითი. შვეიცარიის ბანკი United Bank of Switzerland (UBS), რომლის ანგარიშზეც ირიცხებოდა ზარალი - 10 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით, იძულებული გახდა გაეყიდა თავისი აქციების 9,8% სინგაპურის მთავრობის საინვესტიციო კორპორაციაზე 9,75 მლრდ აშშ დოლარად. რის შედეგადაც იგი გახდა შვეიცარიის ბანკის მსხვილი აქციონერი. ანალოგიური სახით Citigroup-ის მთავარ მეწილეებად „მოულოდნელად“ აღმოჩნდა აბუ-დაბის საინვესტიციო საბჭო, რომელმაც მისი აქციების 4,9%-ში გადაიხადა 7,5 მლრდ აშშ დოლარი.

სუვერენული საინვესტიციო ფონდები არ არიან აშკარად ან ცალსახად შენიშნულნი ისეთ საეჭვო საქმიანობაში, როგორიცაა კომერციული ან პოლიტიკური დიქტატის მცდელობა, თუმცა ზოგჯერ ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს. ასე მაგალითად, 2007 წლისათვის შეიქმნა ჩინეთის საინვესტიციო კორპორაცია, რომელმაც შეიძინა ამერიკული ინვესტბანკის Bank Stone აქციათა პაკეტი და იმავდროულად განაცხადა, რომ არ ჰქონდა განზრახული მოეპოვებინა ადგილები კომპანიის ღირეპტორთა საბჭოში, თუმცა ფონდების ანალიზით დაკავებული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მცირე ზომით, მაგრამ მაინც ახასიათებს ინტერესი, ჩაერთონ იმ კომპანიის პოლიტიკაში, რომლის აქციონერებიც გახდნენ.

ფონდების მოცულობის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება მათი ინვესტიციების არაფინანსური (მაგალითად, პოლიტიკური და სტრატეგიული) მოტივაცია. აშშ-ს და ევროკავშირის კანონმდებლები ფრთხილობენ, რომ სუვერენული საინვესტიციო ფონდების ინვესტიციები შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არაბეთის ქვეყნების, ჩინეთისა და რუსეთის მთავრობების მიერ. ამ აზრის მოკლე ფორმულირებას ახდენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტი ს. ჯონ-

სონი: „სუვერენული ფონდები - „შავი ყუთებია“, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მსოფლიო ფინანსური სისტემის სტაბილურობისათვის“.¹

სუვერენულ საინვესტიციო ფონდებზე ინფორმაციის მოპოვება მეტად შეზღუდულია. მისი მესვეურები ძირითადად ცდილობენ, რომ ინფორმაცია მათი ფონდების შესახებ დახურული იყოს. ამის ნათელი მაგალითი სტატიაში მოყვანილი ცხრილიდან ჩანს. კერძოდ, არაბეთის გაერთიანებული ემირატების ფედერალური საინვესტიციო ფონდზე, ომანის საინვესტიციო ფონდზე და არაბთა გაერთიანებული ემირატების (აბუ-დაბი) საინვესტიციო ფონდზე ინფორმაცია დახურულია.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების ანალიზის არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტები უკავშირდება მის რეალურ როლს თანამედროვე გლობალურ ფინანსურ სივრცეში. სუვერენული საინვესტიციო ფონდების საერთო კაპიტალი დაახლოებით 3 ტრილიონი აშშ დოლარია. ეს ციფრი მეტად შთამბეჭდავია. მოვლენა საჭიროებს მეტ ყურადღებას და ეკონომისტებისაგან მოითხოვს იმ შედეგების დაწვრილებით ანალიზს, რომლებიც ამ ფონდების მოღვაწეობას მოჰყვება ამა თუ იმ ქვეყანაში.

1 А. Апохин. Проблема глобальных дисбалансов в мировой экономике. Вопросы экономики. 2008г. №5, стр. 58.